გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: 11 ივნისი - 17 ივნისი

- **„ქართული ოცნების განცხადებით, ევროკავშირი მხარს უჭერს „ბულინგის კამპანიას“, რომელსაც გარკვეული მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ;**
- **„ქართული ოცნების“ სხვა ანტიდასავლური განცხადებები;**
- **პრორუსული ჯგუფები ავრცელებენ დამახინჯებულ ნარატივებს საქართველოს ურთიერთობებზე ევროკავშირთან და აშშ-სთან;**
- **პროკრემლისტური დაჯგუფებების შეთქმულების თეორიები, თითქოს დასავლეთი განადგურების პირასაა;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების აზრით, „მეზობლური“ ურთიერთობები რუსეთთან საქართველოსთვის განვითარების ერთადერთი საშუალებაა.**

„ქართული ოცნების განცხადებით, ევროკავშირი მხარს უჭერს „ბულინგის კამპანიას“, რომელსაც გარკვეული მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ

მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტისა და საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად მაინც მიიღო რუსული სტილის კანონპროექტი „უცხოეთის აგენტების შესახებ“ - სამ მოსმენაში დაამტკიცა და პრეზიდენტის ვეტო დაძლია - მოქალაქეები დაუფარავად გამოხატავენ უკმაყოფილებას და გამკიცხავი კომენტარებით ხვდებიან დეპუტატებს, რომლებმაც კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

- მოქალაქეს, რომელიც პარლამენტის შენობიდან გამოსულ მმართველი პარტიის დეპუტატებს ქუჩაში შეძახილებით დახვდა, ვიქტორ ჯაფარიძემ - „ქართული ოცნების“ რადიკალური ანტიდასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა - ერთ-ერთი მაღაზიიდან ფორთოხალი ესროლა. მომდევნო დღეს, დეპუტატი მაღაზიაში ფორთოხლის საფასურის გადასახდელად დაბრუნდა, სადაც უთხრეს, რომ კანონპროექტისთვის ხმის მიცემით საქართველოს მომავალი გაყიდა.

- „ფაქტ-მეტრის“ დეზინფორმაციასთან ბრძოლის პროგრამის რედაქტორს, მარიამ წიწიკაშვილს, აეროპორტში ვიქტორ ჯაფარიძემ ჩაუარა. უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენების გარეშე, მარიამმა უკმაყოფილება გამოხატა მისი გადაწყვეტილების გამო. საბოლოოდ, მას გაფრენის უფლება არ მისცეს და წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

- პარიზის აეროპორტში, საქართველოს მოქალაქეებმა შენიშვნა მისცეს „ქართული ოცნების“ დეპუტატ ელისო ბოლქვაძეს.

- პარლამენტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ თავმჯდომარეს, ნინო წილოსანს, მოქალაქემ „მოღალატე“ უწოდა, როდესაც დეპუტატი ინტერვიუს წერდა. წილოსანმა მოქალაქე „ადევნებაში“ დაადანაშაულა.

- „ქართული ოცნების“ მორიგი დეპუტატი, ირაკლი ზარქუა, საჯაროდ გააკრიტიკეს კანონპროექტისთვის მხარდაჭერის გამო.

- ბათუმში, „გმირთა ხეივნის“ გახსნით ღონისძიებაზე, მოქალაქემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, თორნიკე რიჟვაძეს, „მოღალატეები“ უწოდა.
- აქტივისტმა „ქართული ოცნების“ დეპუტატ ბექა ოდიშარიას კანონის მხარდაჭერისთვის „რუსეთის მონა“ უწოდა.

მმართველი პარტია ირწმუნება, რომ მოქალაქეების მხრიდან დაფიქსირებული უკმაყოფილება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების არაავთენტური კამპანიის ნაწილია.

- პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ აღნიშნულ „ბულინგის კამპანიას“ აქვს პირდაპირი კოორდინაცია და მხარდაჭერა კონკრეტული მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რადგან **კონკრეტულ ძალებს არ უნდათ სიმშვიდე ჩვენს ქვეყანაში“.** თუმცა, კობახიძის განცხადებით, მმართველი პარტია ყველაფერს გააკეთებს, რათა მშვიდობა უზრუნველყოს.
- პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები - ლევან დათუნაშვილი „ჯემნიუსიდან“, ზუკა ბერძენიშვილი ორგანიზაციიდან „სირცხვილია“ და მარიამ წიწიკაშვილი „გრასიდან“ - დეპუტატებს თავს დაესხნენ და შეურაცხყვეს. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ „აღშფოთებული მოქალაქის“ სცენები სინამდვილეში ორგანიზებული და პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის კამპანიაა, რომელიც ევროპის სახელით მიმდინარეობს. **„დონორები, მათ მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების პოლიტიკური ექსტრემიზმის წაყრუებით, ტერორის ნორმალიზებას ახდენენ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.**
- პაპუაშვილის ზემოაღნიშნული პოსტის გამოქვეყნებიდან ერთ საათში, ორგანიზაციის „სირცხვილია“ წევრს **ზუკა ბერძენიშვილს სამი პირი მის სახლთან ჩაუსაფრდა, თავს დაესხა და სასტიკად სცემა.** თავდასხმიდან ათი დღის შემდეგ არცერთი პირი არ დაუკავებიათ. „ქართული ოცნების“ დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ თავდასხმა დაგმო, თუმცა განაცხადა, რომ რადიკალური ძალების მიერ განხორციელებული „ზიზღის კამპანიაც“ მიუღებელია.
- პაპუაშვილი იმავე ნარატივს მიმდინარე კვირის განმავლობაში იმეორებდა და ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატები **თავდასხმის, მუქარის, შევიწროების, პირადი ინფორმაციის გასაჯაროების, სიძულვილის ენისა და პირად სივრცეში შეჭრის მსხვერპლნი არიან,** რაც ევროკავშირის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების კოორდინირებული კამპანიაა. მან ევროპულ სტრუქტურებს მოუწოდა, შეისწავლონ აღნიშნული შემთხვევები, რადგან მათ ევროკავშირის არცერთი წარმომადგენელი გამოხმაურებია, რაც შეიძლება აღქმული იქნას, როგორც რადიკალური ჯგუფების წახალისება და პოლარიზაციის გაღრმავება.
- ვიქტორ ჯაფარიძის დაუსაბუთებელი მტკიცებით, მარიამ წიწიკაშვილი რადიკალია, რომელიც „სკანდალის მოწყობაში“ სპეციალურად დატრენინგდა და მომზადდა.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ბექა ოდიშარიამ განაცხადა, რომ ადამიანი, რომელმაც მას „რუსეთის მონა“ უწოდა, დაფინანსებული იყო - „თორემ რა უნდა სანზონელ თუ გლდანელ კაცს 23:30 საათზე კრწანისში, სუპერმარკეტში?“. ოდიშარიას შეფასებით,

აქტივისტი სუპერმარკეტში იყო, თუმცა პროდუქტიც კი არ ეჭირა ხელში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შემთხვევა წინასწარ იყო ორგანიზებული.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, საზოგადოებას ძალადობა არ უნდა; ძალადობა არის იმ პოლიტიკური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა, რომლებსაც მაიდნის რევოლუციის მოწყობა უნდოდათ, მაგრამ ვერ შეძლეს.
- პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რადიკალური ჯგუფების სიძულვილის ენა „გეგმაზომიერია, კამპანიური ხასიათი აქვს“. ფიზიკური შეჯახების პროვოცირება და ადამიანის უშვერი სიტყვებით გინება ძალიან ცუდია და ორივე მხრიდან უნდა დაიგმოს. მისი შეფასებით, **ფსიქოლოგიური შეტევა არანაკლებ დამაზიანებელია, ვიდრე ფიზიკური შეურაცხყოფა**, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის „გეგმაზომიერია“.

„ქართული ოცნების“ სხვა ანტიდასავლური განცხადებები

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ **საქართველოს ხელისუფლებისთვის დაწესებული სანქციები არა მხოლოდ არასერიოზული, არამედ შეურაცხყმყოფელია** ქართველი ხალხისადმი. კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ინტერესებშია, მაქსიმალურად გაღრმავდეს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან. მან ამერიკელ პარტნიორებსა და ევროკავშირის წარმომადგენლებს მოუწოდა, პრაგმატული, სწორი და სამართლიანი ნაბიჯები გადადგან ქართველი ხალხის მიმართ.

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა განაცხადა, რომ გარკვეული „გარე და შიდა ძალები“ სახელმწიფო გადატრიალებას ცდილობდნენ. როდესაც მას სთხოვეს, განემარტა აღნიშნული ინფორმაცია, **ლილუაშვილმა განაცხადა, რომ სუს-მა ჩაატარა ბრიფინგი „კანვასის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც ტრენინგის მონაწილეებმა ხელისუფლების გადაგდების ტაქტიკები და მეთოდები შეისწავლეს.** მისი განცხადებით, აღნიშნული მეთოდები პრაქტიკაში ტრენინგიდან რამდენიმე დღეშივე განხორციელდა.

- სუს-ის უფროსმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ **„გლობალური ომის პარტიას“ გეოგრაფია არ გააჩნია** და არა საქართველოს პარტნიორებისგან, არამედ გარკვეული პოლიტიკური პირებისა და ინტერესის ჯგუფებისგან შედგება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში დაპირისპირების გაღვივებითა და „მეორე ფრონტის“ გახსნით. „აუცილებლად იქნება გამოძიებული ყველა იმ აქტორის როლი და მონაწილეობა, რომელიც დაინტერესებულია დამშვიდებული, დაწყნარებული, სწორ რელსებზე შემდგარი ქვეყნის არევით“, - განაცხადა ლილუაშვილმა.

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ოპოზიცია გააკრიტიკა ჩინეთის მტრად წარმოჩენის გამო. **მისი შეფასებით, ჩინეთს საქართველოსთვის სიკეთის გარდა არაფერი გაუკეთებია** და გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრია. თუმცა ოპოზიცია ანტიჩინური კამპანიის საწარმოებლად შეკვეთებსა და დაფინანსებას უცხოეთიდან იღებს. „იცით, რომ თინა ხიდაშელი [ორგანიზაცია

„სამოქალაქო იდეას“ თავმჯდომარე და ყოფილი თავდაცვის მინისტრი] ტაივანიდან ფინანსდება იმისთვის, რომ ანტიჩინური კამპანია აწარმოოს?“ - აღნიშნა პაპუაშვილმა.

- პაპუაშვილი ასევე ირწმუნებოდა, რომ ოპოზიცია საქართველოს მტერია და სხვა ქვეყნების ინტერესებით მოქმედებს. ოპოზიციას არ სურს ძალაუფლების მოპოვება, რადგან სინამდვილეში, მათი მიზანია, სხვებს მიატაცებინონ ქართული სახელმწიფო. „ისინი სინამდვილეში საარჩევნო კამპანიას ეწევიან უცხო ძალებისთვის“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.
- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ **განვითარების მხრივ, საქართველო გაცილებით წინაა, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა.** აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა მოლაპარაკებები საქართველოსთან უნდა გახსნას. კალაძემ იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის წინააღმდეგ არ დაიწყება მუქარა და შანტაჟი, როგორც კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით მოხდა.

პრორუსული ჯგუფები ავრცელებენ დამახინჯებულ ნარატივებს საქართველოს ურთიერთობებზე ევროკავშირთან და აშშ-სთან

- ფრიდონ ინჯია, პოლიტიკური პარტია „ევროპელი სოციალისტების“ წევრი და დეპუტატი, პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში ირწმუნებოდა, რომ **აშშ-ს საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია.** მისი შეფასებით, **აშშ-მა გაანადგურა საქართველოს განათლების სისტემა, სამედიცინო და კვლევითი დაწესებულებები, ქარხნები და ა.შ.** ერთადერთი სექტორი, რომელსაც ამერიკელები აფინანსებენ, არასამთავრობო ორგანიზაციებია, რათა აგენტურა შეექმნათ და გავლენა მოეპოვებინათ. ის ამტკიცებდა, რომ ამერიკელებმა დააფინანსეს 2003 წლის ვარდების რევოლუცია და სააკაშვილი ხელისუფლებაში ორგანიზაციების მეშვეობით მოიყვანეს.

- ფრიდონ ინჯიამ ასევე განაცხადა, რომ 2008 წელს რუსეთის შემოჭრა საქართველოში და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება იყო **ამერიკული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა, გაეღვივებინა დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის.**

- პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი და ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი ამბობდა, რომ აშშ-ს საქართველოს მიმართ არამეგობრული დამოკიდებულება აქვს და საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადახედოს, ღირს თუ არა ვაშინგტონთან ურთიერთობების გაგრძელება. აგრეთვე, ის ამტკიცებდა, რომ საქართველოში მოქმედი აგენტურა სრულად უნდა განადგურდეს, რათა ქვეყანამ განვითარება შეძლოს.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები 2003 წელს კვლავ მოქმედი იყო და მოსკოვი მათ გაყვანას არ აპირებდა სტამბულში სამხედრო ბაზების 2001 წლის 1 ივლისამდე გაყვანის ვალდებულებაზე ხელმოწერის შემდეგაც კი, პრორუსი პროპაგანდისტი ნიკოლოზ მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ საქართველო 2003 წელს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე იყო, თუმცა ვინაიდან ეს დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ამ უკანასკნელმა საქართველოში რევოლუცია დაიწყო, რამაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობები გაამწვავა. „ალტ-ინფოს“ ეთერის ერთ-ერთი წამყვანის, ალექსანდრე

ფალავანდიშვილის, განცხადებით, საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს ბრიუსელი ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყენებს და დასჯის, თუ ის ევროკავშირის მითითებებს არ შეასრულებს.

- „ალტ-ინფოს“ მორიგმა წამყვანმა გიორგი ძველაიამ გაიმეორა შეთქმულების თეორია, თითქოს **დასავლეთი ეცდება, საპარლამენტო არჩევნებით ან არჩევნების შემდგომ მოაწყოს სახელმწიფო გადატრიალება, რასაც ომი მოჰყვება.** მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ აშშ ერევა სომხეთის შიდა საქმეებშიც, რადგან ვაშინგტონს სურს, რუსეთის მეზობელ სამხრეთ კავკასიის რეგიონში პრობლემები გააღვივოს.

- რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გორჩაკოვის ფონდის საქართველოს ოფისის თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძე ირწმუნებოდა, რომ კობახიძის ვიზიტს ირანში, პრეზიდენტ ებრაჰიმ რაისის დაკრძალვის ცერემონიაზე, დასავლეთი კრიტიკული შეფასებებით გამოეხმაურა, რადგან მას არ სურს, საქართველოს კარგი ურთიერთობები ჰქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან.

- ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობაში იყო მსჯავრდებული, ტრისტან წითელაშვილი ირწმუნებოდა, რომ კოლექტიური დასავლეთი, რომელიც პირდაპირ ემუქრება საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ღიად საუბრობს გეგმებზე „დაიწყოს მეორე მაიდანი და ქაოსით მოიპოვოს საქართველოზე კონტროლი“. აგრეთვე, ის ამტკიცებდა, რომ აშშ-სა და კოლექტიურ დასავლეთს ქართველი ხალხის რწმენა არ ადარდებთ და მხოლოდ რეგიონში სამხედრო ბაზების შექმნით არიან დაინტერესებულნი, რუსეთისთვის პრობლემების შექმნის მიზნით.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტი ამბობდა, რომ ქართველი ხალხი შეცდა, როდესაც „ეგზისტენციურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული კავშირები საბჭოთა სივრცესთან“ დასავლეთთან ურთიერთობით ჩაანაცვლა. პროპაგანდისტის მტკიცებით, დასავლეთი აკონტროლებს საქართველოს ეკონომიკას, ფინანსურ სექტორს, განათლების სისტემას და ა.შ. **2003 წელს საქართველომ სუვერენიტეტი დათმო, როდესაც მას დასავლეთმა დაუნიშნა ხელისუფლება.**

- „ალტ-ინფოს“ ეთერის მორიგი წამყვანი, მაცაცო გახოკიძე, ამტკიცებდა, რომ დასავლეთის 30-წლიანი დახმარება საქართველოსთვის უმნიშვნელოა. პროპაგანდისტმა ყურადღების მიღმა დატოვა ფაქტები, რომ 2008 წელს რუსეთის შემოჭრის შემდეგ სწორედ აშშ-მა გამოგზავნა ჰუმანიტარული დახმარება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერები თბილისში ჩამოვიდნენ და საფრანგეთის პრეზიდენტი შუამდგომლობდა შეთანხმებას, რათა რუსეთი შეეჩერებინა - ის ამტკიცებდა, რომ **დასავლეთის მიერ 2008 წელს საქართველოსთვის გამოგზავნილი დახმარება მცირედი იყო** და მხოლოდ ჰუმანიტარული. პროპაგანდისტის შეფასებით, **დასავლეთის დახმარების ერთადერთი სარგებელი ლიბერალური დღის წესრიგის დამყარებაა.**

- „ალტ-ინფოს“ ეთერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სომხეთში მიმდინარე მოვლენები იყო. პროპაგანდისტები ვაშინგტონს სომხეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებდნენ. მათი თქმით, იმისათვის, რომ აშშ-მა

სამხრეთ კავკასიაში გავლენა შეინარჩუნოს, რუსეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მუდმივი დაძაბულობა უნდა უზრუნველყოს.

- პრორუსული ვებგვერდ „GeWorld-ზე“ გამოქვეყნებული პროპაგანდისტული ნარატივის თანახმად, საქართველო აშშ-ის სანქციებით ისარგებლებს და შეძლებს, თავი დააღწიოს დამაბრკოლებელ ამერიკულ გავლენას. ავტორის თქმით, სწორედ დასავლეთი უშლიდა ხელს საქართველოს ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებისგან, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი. „საქართველომ ფხა გამოიჩინა. ამერიკელებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ **საქართველოს მოქალაქე სამშობლოში არ გაცვლის ამერიკის ვიზას. ამერიკის რესურსი საქართველოში ამოიწურა,“** - აღნიშნულია სტატიის დასკვნით ნაწილში.

- „GeWorld-ზე“ გამოქვეყნებული მორიგი სტატიის თანახმად, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მეტი დასავლელი პოლიტიკოსი ეცდება, ჩაერიოს საქართველოს შიდა საქმეებში, აწარმოოს საინფორმაციო ომი და გააღვივოს საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებები ამჟამინდელ ხელისუფლებასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორი წერს, რომ საქართველომ სანქციები უნდა დაუწესოს პირებს, რომლებიც საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობენ, რადგან სხვა შემთხვევაში, დასავლეთი ამ გეგმას შეასრულებს და საქართველოს კონფლიქტში ჩაითრევს.